პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა საბაზო საფეხურზე

ნათია ქარქაშაძე, ეთერ ბეგლარაშვილი, თორნიკე გოგუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ზოგადი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი - გიორგი გახელაძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

მადლობა

გვსურს მადლიერება გამოვხატოთ იმ ადამიანების მისამართით, რომლებიც დაგვეხმარნენ მოცემული ნაშრომის მომზადებაში. უპირველეს ყოვლისა, მადლობას ვუხდით ქალაქ თბილისის 186 – ე საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ თინათინ ჩხიკვაძეს, თანამშრომლობისა და გაწეული დახმარებისთვის, ასევე მადლობას ვუხდით ამავე სკოლის მე- 9 კლასის მოსწავლეებსა და დამრიგებლებს, რომლებიც ჩართულნი იყვნენ კვლევის პროცესში.

მადლობას ვუხდით ჩვენ მიერ მოწვეულ ტრენერს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორს, მურო თაკალანძეს, რომელმაც შემოგვთავაზა საინტერესო ტრენინგი და გაგვიმრავალფეროვნა კვლევის პროცესი.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი გახელაძეს საინტერესო რჩევებისთვისა და დახმარებისთვის. მადლობა მას, რომ ლექციების შემდეგ გარკვეული საათის დათმობისთვის, რომელიც მუდამ ცდილობდა ჩვენთან ერთად გადაელახა ნაშრომთან დაკავშირებული გამოწვევები, სწორედ მისი წყალობით დავძლიეთ დასაწყისში წარმოქმნილი პრობლემა, ძალისხმევა არ დაიშუა და რამდენიმე წუთში მოგვიძებნა სკოლა, სადაც გავაგრძელებდით პრაქტიკის კვლევას. მისი სახით, საქართველოს ერთ- ერთი ძლიერი და გამორჩეული განათლების სპეციალისტი დააკლდა. ჩვენი ჯგუფისთვის ძალიან მძიმეა იმის წარმოდგენა, რომ ბატონი გიორგი ვერ მოესწრო ნაშრომის სრულყოფას და შემდგომში მის წარდგენას. გვინდა, ღრმა მწუხარება გამოვთქვათ ბატონი გიორგი გარდაცვალების გამო, ეს ამბავი დიდი ტრაგედიაა ოჯახისთვის, მეგობრებისთვის, კოლეგებისთვისა და სტუდენტებისთვის.

ასევე, გვინდა ჩვენი მადლიერება გამოვხატოთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ქალბატონი მანანა რატიანის მიმართ, ჩვენთვის მძიმე სიტუაციაში გამხნევებისთვისა და მხარდაჭერისთვის.

განაცხადი

„როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ნათია ქარქაშაძე

ეთერ ბეგლარაშვილი

თორნიკე გოგუა

24.06.2024

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი არის პრაქტიკის კვლევის ანგარიში, რომელიც განხორციელდა სსიპ ქალაქ თბილისის 186-ე საჯარო სკოლაში. საკვლევი თემა კი არის, პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა საბაზო საფეხურზე. წარმოდგენილი კვლევა მოიცავს შემდეგ საფეხურებს : პრობლემის დიაგნოსტირება, ინტერვენციების განხორციელება და მათი შეფასება. ჩატარებული კვლევის მიზანი გახლდათ, აღნიშნული სკოლისთვის პროფესიული ორიენტაციის ხელშემწობი პროგრამის შემუშავება, რომელიც სამომავლოდ გაიწერება სკოლის სამოქმედო გეგმაში. შემუშავებული პროგრამა ხელს შეუწყობს საბაზო საფეხურის მოსწავლეებს, გაიგონ მეტი ინფორმაცია პროფესიულ ორიენტაციაზე და ამის საფუძვლზე, მიიღონ სწორი და გააზრებული გადაწყვეტილება.

კვლევის პრობლემის იდენტიფიცირება მოხდა სკოლის დირექტორთან ინტერვიუს საფუძველზე. თავდაპირველად, ჩვენი საკვლევი თემა გახლდათ პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვა საშუალო საფეხურზე. სკოლის დირექტორიც დათანხმდა აღნიშნულ საფეხურზე კვლევის ჩატარებას. ამის შემდეგ ჩატარდა ფოკუსჯგუფი როგორც მოსწავლეებთან, ისე მასწავლებლებთან (მე-11 კლასი), მაგრამ მალევე, სკოლის მხრიდან წამოვიდა ინიციატივა, რომ კვლევა ჩატარებულიყო არა საშუალო, არამედ საბაზო საფეხურზე. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ ისევ ჩავატარეთ ინტერვიუ სკოლის დირექტორთან, ხოლო ფოკუსჯგუფი მე-9 კლასის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან. ჩატარებულმა ინტერვიუმ და ფოკუსჯგუფებმა ნამდვილად დაადასტურა პრობლემის სიმძაფრე. დიაგნოსტიკური კვლევის შემდეგ, განისაზღვრა სამიზნე ჯგუფი და იდენტიფიცირდნენ კვლევაში ჩართული მასწავლებლები (მე-9 კლასების დამრიგებლები).

ლიტერატურის მიმოხილვის შემდეგ, ჩვენმა ჯგუფმა არჩევანი შეაჩერა შემდეგ სახელმძღვანელოზე : გზამკვლევი ცხოვრების დაგეგმვის შესახებ განათლებისა და კარიერული ხელმძღვანელობის შესახებ საშუალო სკოლებისთვის (პირველი გამოცემა). აღნიშნული გზამკვლევიდან ავარჩიეთ ცხოვრების დაგეგმვის სამ ეტაპიანი ციკლი, რომელიც მოიცავს : თვითშეცნობის, კარიერის ძიებისა და კარიერის დაგეგმვისა და მართვის ეტაპებს. თუთოეული ეტაპი შედგება რამდენიმე ნაწილისგან და აღნიშნული კვლევის ფარგლებში, მოსწავლეებთან, დამრიგებლებთან და სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად, ინტერვენციების გარკვეული ნაწილი განვახორციელეთ.

ჩატარებული ინტერვენციების შედეგად, მეტნაკლებად ამაღლდა სასკოლო საზოგადების ცნობიერება პროფესიული ორიენტაციის შესახებ, განსაკუთრებით კი, მე-9 კლასელ მოსწავლეთა შორის. სკოლის დირექტორთან ერთად, შევიმუშავეთ პროფესიული ორიენტაციის სამოქმედო გეგმა, რომელიც მომავალში ჩაშენდება სკოლის სამოქმედო გეგმაში, რაც გარანტია იმისა, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევა არის მდგრადი და გრძელვადიანი. მასწავლებელთა ფოკუსჯგუფის დროს, აღინიშნა, რომ მათ მიიღეს ისეთი მზა რესურსი, რომლებიც შემდგომში გაუადვილებთ მოსწავლეებთან ამ საკითხზე მუშაობის პროცესს. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა 87.5 % თვლის, რომ განხორციელებული აქტივობები დაეხმარებათ ან ძალიან დაეხმარებათ საკუთარი უნარებისა და ინტერესების აღმოჩენაში.

ვფიქრობთ, რომ ჩატარებული კვლევა ძალიან კარგი შესაძლებლობაა აღნიშნული სკოლისთვის, რათა შემდგომში გააგრძელოს ამ საკითხზე მუშაობა, იზრუნოს და განავითაროს პროფესიული ორიენტაციის პროგრამა.

საძიებო სიტყვები: პროფესიული ორიენტაცია, კარიერის ძიება, კარიერის დაგეგმვა, პრაქტიკის კვლევა, თვითშემეცნება, ინტერვენცია, სამოქმედო გეგმა, უნარები და ინტერესები.

Abstract

This work is an action research project that was held in Tbilisi public school N 186. A research theme is Professional orientation and career planning on the basic level. This study involves the following stages: problem diagnosis, implementing interventions and estimating them. The research aimed to create a professional orientation program that will be written in the school action plan. The created program will help basic level students to learn about professional orientation and based on this knowledge they will be able to make precise and comprehended decisions.

The research problem was identified with the interview with the school headmaster. At first, our research theme was professional orientation and career planning on a secondary level. The school headmaster agreed to research on the secondary level. Afterward, focus groups of teachers and students were interviewed (11th grade) but after a while, the school took the initiative to investigate the basic level instead of the secondary level. Of course, afterward, we still interviewed the headmaster and the focus group of 9th-grade students and teachers. Interviews showed the existence of the problem. After the problem diagnosis, the target group was defined and the teachers involved in the research were identified(tutors of the 9th grade)

After the survey of the literature, our group has chosen the following manuals. Guide on life planning education and Career guidance for secondary schools (1st edition). From this guidance, we have chosen a cycle of life planning that includes three stages: Self-cognition, seeking career and career planning and guiding stages. Each stage includes several parts, within this research we have implemented part of the interventions with students, teachers and school administration.

As a result of the implemented interventions, school society's knowledge about professional orientation, more or less, has increased, especially in 9th-grade students. We have created the professional orientation action plan that will be built into the school action plan. This is the guarantee that our research is steady and long-term. During the interview with the focus group of teachers, they indicated that they had received such ready resources that would help them to work with students on these topics. It should be said that 87.5% of the students say that accomplished activities will help them to find out their skills and interests.

We consider that the research is an exceptional opportunity for the school. They can continue working on this topic, look after and develop a professional orientation program.

Key words: Professional Orientation, Career Exploration, Career Planning, Action Research, Self -Understanding, Intervention, Action Plan, Skills and Interests.